

შპს ჯეო სქაი ტექნიკი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	6
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	11
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება	12
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	13
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები.....	14

შპს აუდიტორული ფირმა „მრჩეველი“
ქ. თბილისი, ბელიაშვილის ჩიზი I #3
ქალბატონო ნაირა,

24 სექტემბერი 2025 წ.

ოფიციალური წერილი 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ჩვენ ვადასტურებთ, რომ მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა ხელმძღვანელობისა და შესაბამისი ცოდნისა თუ გამოცდილების მქონე პერსონალის გამოკითხვას და, საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგებს, რომელიც ჩვენთვის საკმარისია, იმაში დასარწმუნებლად, რომ შეგვიძლია სათანადოდ წარგიდგინოთ იმ აუდიტთან დაკავშირებული თითოეული განმარტება, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს.

ვაცნობიერებთ ჩვენს სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თქვენთვის როგორც აუდიტორებისათვის ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით და ვადასტურებთ, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს ისეთი ინფორმაცია, რომლის შესახებაც თქვენ არ იცით და შეიძლება გჭირდებოდეთ, თქვენი აუდიტორის დასკვნის მოსამზადებლად. თითოეულმა დირექტორმა შეასრულა ყველა ის ქმედება, რომელიც მას როგორც დირექტორს უნდა შეესრულებინა, შესაბამისი აუდიტორული ინფორმაციის მოძიებისა და გაცნობის მიზნით და იმაში დასარწმუნებლად, რომ თქვენთვის ცნობილი გახდა ყველა ასეთი ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება:

1. ვადასტურებთ, რომ, როგორც დირექტორებმა შევასრულეთ საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ გათვალისწინებული ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ და მის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარდგენასთან მიმართებაში, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ასევე ამ თარიღით დასრულებული პერიოდის საქმიანობის შედეგების უტყუარ და სამართლიან ასახვას, ასევე თქვენთვის ზუსტ წარდგენას უზრუნველყოფს. ვადასტურებთ, რომ ჩვენ დავამტკიცეთ საბოლოო ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის;
2. ვადასტურებთ, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნით შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკები და გაკეთებული შეფასებების ტექნიკა (მათ შორის, მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით შეფასების დასადგენად გამოიყენება), რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას

- გამოიყენება, ყველაზე შესაფერისია იმ გარემოებებისათვის, რომლებშიც კომპანია საქმიანობს;
3. გარდა ფინანსურ ანგარიშგებებში მითითებული შემთხვევებისა, კომპანიას არ დაუდია რაიმე სახის გარიგება, რომელშიც ჩართულნი იყვნენ დირექტორები, სხვა ხელმძღვანელი პირები ან სხვა დაკავშირებული მხარეები, რომელიც მოითხოვს გამჟღავნებას საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ან მის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შესაბამისი ინფორმაცია გამჟღავნდა კომპანიის კონტროლთან დაკავშირებით;
 4. ჩვენ მოგაწოდეთ ინფორმაცია ყველა ცნობილი ან შესაძლო/შოსალოდნელი სასამართლო პროცესის ან საჩივრის შესახებ, რომელთა შედეგები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და რომელიც გამჟღავნებულია ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
 5. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ საკმარისი ფინანსური რესურსები უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის საბრუნავი კაპიტალისა და კაპიტალური ხარჯების დასაფარავად მინიმუმ მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში. ჩვენთვის არ არის ცნობილი რომელიმე ისეთი ფაქტორის შესახებ, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს ზემოაღნიშნული პერიოდის მანძილზე ან მის შემდეგ;
 6. საანგარიშო თარიღის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მონაცემების გადახედვას ან განმარტებით შენიშვნებში ასახვას საჭიროებს. თუ არსებითი მოვლენები განვითარდება, რომლებიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მონაცემების გადახედვას ან მასში განმარტებით შენიშვნებში ასახვას, დამატებით მოგაწვდით შესაბამის ინფორმაციას.
 7. ჩვენ ვადასტურებთ, რომ თქვენი შეტყობინების შესაბამისად, აუდიტის დროს არ გამოვლენილა რაიმე შეუსწორებელი უზუსტობები, ხოლო გამოვლენილი უზუსტობები კი მხოლოდ აშკარად ტრივიალურია.
 8. ვადასტურებთ, რომ არ გვაქვს გეგმები და ზრახვები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ნებისმიერი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე ან კლასიფიკაციაზე.
 9. თუ არსებითი უზუსტობების არსებობის გამო, წინა პერიოდში კორექტირება მოხდა და შესაძარისი ინფორმაციის გადაანგარიშება მოხდა, საჭიროა შესაბამისი ინფორმაციის/ განმარტების წარდგენა (ასს 710.9).]

მოწოდებული ინფორმაცია:

10. აუდიტის მიზნებისათვის თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ყველა საბუღალტრო ჩანაწერი და კომპანიის მიერ განხორციელებული ყველა ოპერაცია სათანადოდაა აღრიცხული საბუღალტრო ჩანაწერებში. ჩვენ მოგაწოდეთ ყველა სხვა ინფორმაცია, მოთხოვნისამებრ და მოგვცით შეუზღუდავი წვდომა იმ სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაში ჩართულ პირებთან, რომელთანაც საჭიროდ მიიჩნიეთ გაგეგმართათ დისკუსია. თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ ყველა სხვა ჩანაწერი და შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის, ხელმძღვანელობისა და დამფუძნებელთა ყველა შეხვედრის ოქმები.
11. გარდა ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაციისა, ჩვენთვის არ არის ცნობილი რაიმე სახის არსებითი ვალდებულებების, რეზერვების, პირობითი ვალდებულებების, პირობითი აქტივების ან კაპიტალურ ვალდებულებებზე დადებული კონტრაქტის შესახებ, რომლებიც ასახულ უნდა იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის განმარტებით შენიშვნებში.
12. კომპანიას გააჩნია დამაკმაყოფილებელი საკუთრების უფლება ყველა აქტივზე და კომპანიის აქტივებზე არ ფიქსირდება გირაო ან რაიმე სახის დატვირთვა.

13. ჩვენ ვადასტურებთ, რომ კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.
14. ვადასტურებთ, რომ მიმოვიხილეთ ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების ყველა არსებითი საკითხი და შევაფასეთ მათი სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გონივრულობა. ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ ძირითადი საშუალებების, არამატერიალური გრძელვადიანი აქტივებისა და ინვესტიციების (გარდა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულისა) ყველა მნიშვნელოვანი ერთეული და გვეჩერა, რომ არ იყო საჭირო მიმოვიხილეთ ჩატარება გაუფასურებასთან მიმართებაში, რადგან არ არსებობდა გაუფასურების ნიშნები.
15. ვადასტურებთ, რომ გაცნობეთ ყველა დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობისა და ჩვენთვის ცნობილი, შესაბამისი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ამ დაკავშირებულ მხარესთან დადებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია.
16. ვაცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას უზუსტობის ან თაღლითობის თავიდან აცილებისა და გამოვლენის მიზნით შიდა კონტროლის შექმნასა და დანერგვაზე და გაგიძღვანეთ ჩვენს მიერ შესრულებული იმ რისკის შეფასება, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არსებით უზუსტობას შეიცავდეს თაღლითობის გამო. ჩვენთვის უცნობია რაიმე დარღვევების, მათ შორის თაღლითობის და საეჭვო თაღლითობის შესახებ, რომლებშიც ჩართულნი არიან ხელმძღვანელობა, თანამშრომლები ან სხვა პირები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შიდა კონტროლში ან კომპანიის მიერ იმ პერსონალის შესახებ, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენთვის არ არის ცნობილი მსგავსი შეუსაბამობების ან დარღვევების შესახებ.
17. ჩვენთვის არ არის ცნობილი კანონის, რეგულირების, ხელშეკრულებების, შეთანხმებების ან კომპანიის წესდების დარღვევების ფაქტების ან შესაძლო დარღვევების შესახებ, რაც შესაძლებელია კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ჯარიმების ან სხვა ზარალის მიზეზი გახდეს. ჩვენთვის არ არის ცნობილი მსგავსი შეუსაბამობების ან დარღვევების შესახებ.
18. ჩვენ ვადასტურებთ, რომ თქვენი შეტყობინების თანახმად, არ არსებობს ისეთი საკითხები, რის შესახებაც გსურთ ჩვენთან გამართოთ დისკუსია, თქვენი პროფესიის ეთიკური პრინციპების შესაბამისობის კუთხით, რომლებიც თქვენს დაგეგმვის წერილში მითითებულია, სხვა საკითხებთან ერთად 22.08.2025 წ.
19. ჩვენ ვადასტურებთ თქვენი დაგეგმვის წერილის მიღებას 22.08.2025 წ.

პატივისცემით,

შალვა კიკნაძე

ხელმოწერილი და დადასტურებულია სახელით





დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ჯეო სქაი ტექნიკსი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯეო სქაი ტექნიკსი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ჯეო სქაი ტექნიკსი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მარაგის ნაშთები ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად 524 539 ლარით. ხელმძღვანელობას არ ჩაუტარებია სასაქონლო მარაგების ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რის გამოც ვერ დავრწმუნდით მოცემული თარიღისათვის არსებული მარაგების სისწორეში. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვახერხეთ ზემოთ მოცემული თარიღისათვის არსებული მარაგების რაოდენობის დადასტურება. შედეგად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა, როგორც მარაგებთან, ასევე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „ჯეო სქაი ტექნიკსი“-სგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად,

რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ განვახორციელეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა “მე-3, შესადარისი ინფორმაციაში” აღწერილი კორექტირებების აუდიტი, რომელთა მიხედვითაც გადაანგარიშებები მოხდა 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული კორექტირებები განხორციელდა 2023 წლის ბალანსის შედგენის შემდგომ პერიოდში. ჩვენი აზრით, ამგვარი კორექტირებები მართებულია და სათანადოდ არის გამოყენებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ჯეო სქაი ტექნიქსი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ჯეო სქაი ტექნიქსი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ჯეო სქაი ტექნიქსი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ჯეო სქაი ტექნიქსი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.
- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ჯეო სქაი ტექნიქსი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სათანადო ეთიკური მოთხოვნები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე საფრთხეების აღმოსაფხვრელად გატარებული ზომების ან გამოყენებული შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ნაირა ლობჯანიძე.

შპს აუდიტორული ფირმა „მრჩეველი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-952944)

აუდიტის გარიგების პარტნიორი

ნაირა ლობჯანიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-118672)

24 სექტემბერი 2025 წ.

საქართველო, ქ. თბილისი, ბელიაშვილის I ჩიხი #3

შპს „ჯეო სქაი ტექნიკსი“
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
 (ლარი)

	შენი შენე ბი	2024	2023
შემოსავალი	5	8 738 605	7 437 371
თვითღირებულება (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (5 874 513) ლ.)	6	(5 348 538)	(5 875 894)
საერთო მოგება (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 562 858 ლ.)		3 390 067	1 561 477
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1 917 625)	(872 623)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1 472 442	688 854
საპროცენტო შემოსავალი	8	1 675	1 161
საპროცენტო ხარჯი (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (95 495) ლ.)	8	(88 775)	(96 717)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (4 089) ლ.)	9	19 284	(4 812)
არასაოპერაციო შემოსავლები	10	24 155	6 170
არასაოპერაციო ხარჯები	10	(11 718)	(3 160)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 594 822 ლ.)		1 417 063	591 496
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება/(ზარალი) (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 594 822 ლ.)		1 417 063	591 496
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 594 822 ლ.)		1 417 063	591 496

დირექტორი
 შალვა კიკნაძე
 24 სექტემბერი 2025 წ.
 თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
 ნანა ბიჭვინაშვილი
 24 სექტემბერი 2025 წ.
 თბილისი, საქართველო

შპს „ჯეო სკაი ტექნიკსი“
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
 (ლარი)

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	5	8 738 605	7 437 371
თვითღირებულება (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (5 874 513) ლ.)	6	(5 348 538)	(5 875 894)
საერთო მოგება (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 562 858 ლ.)		3 390 067	1 561 477
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1 917 625)	(872 623)
საოპერაციო მოგებ/(ზარალი)		1 472 442	688 854
საპროცენტო შემოსავალი	8	1 675	1 161
საპროცენტო ხარჯი (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (95 495) ლ.)	8	(88 775)	(96 717)
მოგება/(ზარალი) საკუთრივ სხვაობიდან (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (4 089) ლ.)	9	19 284	(4 812)
არასაოპერაციო შემოსავლები	10	24 155	6 170
არასაოპერაციო ხარჯები	10	(11 718)	(3 160)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 594 822 ლ.)		1 417 063	591 496
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება/(ზარალი) (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 594 822 ლ.)		1 417 063	591 496
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 594 822 ლ.)		1 417 063	591 496

დირექტორი
 შალვა კიკნაძე
 24 სექტემბერი 2025 წ.
 თბილისი, საქართველო

Geosky
 TECHNICS LLC

ფინანსური მენეჯერი
 ნანა ბიწვინაშვილი
 24 სექტემბერი 2025 წ.
 თბილისი, საქართველო

შპს „ჯეო სქაი ტექნიკი“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნები	31.დეკ.24	31.დეკ.23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	619 259	388 367
აქტივის გამოყენების უფლება (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 128 811 ლ.)	12	872 110	1 158 784
სულ გრძელვადიანი აქტივები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 517 178 ლ.)		1 491 369	1 547 151
მიმდინარე აქტივები			
მარაგები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 231 992 ლ.)	13	524 539	231 549
სავაჭრო მოთხოვნები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 447 767 ლ.)	14	2 475 092	1 599 942
სხვა აქტივები	15	3 712	29 574
გადახდილი ავანსები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 53 835 ლ.)	16	37 136	53 823
ფული და ფულის ექვივალენტი	17	230 798	58 648
სულ მიმდინარე აქტივები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 821 516 ლ.)		3 271 277	1 973 536
სულ აქტივები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 3 338 694 ლ.)		4 762 646	3 520 687
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	20 000	20 000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 857 298 ლ.)	18	2 271 035	853 972
სულ კაპიტალი (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 877 298 ლ.)		2 291 035	873 972
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 908 389 ლ.)	12	674 882	933 052
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		674 882	933 052
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 67 678 ლ.)	19	787 557	220 084
სხვა ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 972 257 ლ.)	20	558 882	972 163
საგადასახადო ვალდებულება (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 200 192 ლ.)	21	59 911	198 001
მიღებული ავანსები	22	1 130	56 314
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 256 566 ლ.)	12	389 249	267 101
სულ მიმდინარე ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 553 007 ლ.)		1 796 729	1 713 663
სულ კაპიტალი და ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 3 338 694 ლ.)		4 762 646	3 520 687

დირექტორი
შალვა კიკნაძე
24 სექტემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
ნანა ბიწინაშვილი
24 სექტემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

შპს „ჯეო სქაი ტექნიკსი“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნები	31.დეკ.24	31.დეკ.23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	619 259	388 367
აქტივის გამოყენების უფლება (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 128 811 ლ.)	12	872 110	1 158 784
სულ გრძელვადიანი აქტივები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 517 178 ლ.)		1 491 369	1 547 151
მიმდინარე აქტივები			
მარაგები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 231 992 ლ.)	13	524 539	231 549
სავაჭრო მოთხოვნები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 447 767 ლ.)	14	2 475 092	1 599 942
სხვა აქტივები	15	3 712	29 574
გადახდილი ავანსები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 53 835 ლ.)	16	37 136	53 823
ფული და ფულის ექვივალენტი	17	230 798	58 648
სულ მიმდინარე აქტივები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 821 516 ლ.)		3 271 277	1 973 536
სულ აქტივები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 3 338 694 ლ.)		4 762 646	3 520 687
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	20 000	20 000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 857 298 ლ.)	18	2 271 035	853 972
სულ კაპიტალი (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 877 298 ლ.)		2 291 035	873 972
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 908 389 ლ.)	12	674 882	933 052
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		674 882	933 052
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 67 678 ლ.)	19	787 557	220 084
სხვა ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 972 257 ლ.)	20	558 882	972 163
საგადასახადო ვალდებულება (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 200 192 ლ.)	21	59 911	198 001
მიღებული ავანსები	22	1 130	56 314
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 256 566 ლ.)	12	389 249	267 101
სულ მიმდინარე ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 1 553 007 ლ.)		1 796 729	1 713 663
სულ კაპიტალი და ვალდებულებები (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 3 338 694 ლ.)		4 762 646	3 520 687

დირექტორი
შალვა მამუკაძე
24 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო
Geosky
TECHNICS
GEO SKY TECHNICS LLC

ფინანსური მენეჯერი
ნანა ბიჭვინაშვილი
24 სექტემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

შპს „ჯეო სქაი ტექნიკსი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 2023 წლის 01 იანვრისათვის	20 000	262 476	282 476
წლის მთლიანი სრული მოგება(ზარალი) (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 594 822 ლ.)	0	591 496	591 496
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 857 298 ლ. ხოლო სულ 877 298 ლ.)	20 000	853 972	873 972
წლის მთლიანი სრული მოგება(ზარალი)	0	1 417 063	1 417 063
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	20 000	2 271 035	2 291 035

შპს „ჯეო სქაი ტექნიკსი“

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

ქართული ლარი	შენი შვნი	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება დაბეგვრამდე (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 594 822 ლ.)		1 417 063	591 496
ცვეთა და ამორტიზაცია (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 48 443 ლ.)		381 755	324 420
ძირითადი საშუალებების გასვლით წარმოქმნილი დანაკარგი		9 285	-
ზარალი/(მოგება) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 4 089 ლ.)		(19 284)	4 812
მიღებული პროცენტი		(1 675)	(1 161)
საპროცენტო ხარჯი (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 95 495 ლ.)		88 775	96 717
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები			
შემცირება/ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობაში (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (116 849) ლ.)		(292 990)	(116 406)
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (918 223) ლ.)		(849 288)	(1 254 579)
შემცირება/ზრდა გადახდილ ავანსებში (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (34 900) ლ.)		16 687	(34 888)
შემცირება/ზრდა საგადასახადო აქტივებში		-	40 819
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 629 003 ლ.)		154 191	690 746
შემცირება/ზრდა საგადასახადო ვალდებულებებში (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 200 192 ლ.)		(138 090)	198 001
შემცირება/ზრდა მიღებულ ავანსებში		(55 184)	56 314
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 598 044 ლ.)		711 245	596 291
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო 598 044 ლ.)		711 245	596 291
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(314 531)	(242 378)
მიღებული პროცენტი		1 675	1 161
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან		(312 856)	(241 217)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
საპროცენტო ხარჯი (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (95 495) ლ.)		(88 775)	(96 717)
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (232 303) ლ.)		(156 748)	(228 605)
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა ფინანსური საქმიანობიდან (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (327 798) ლ.)		(245 523)	(325 322)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (4 089) ლ.)		19 284	(4 812)
წმინდა ფულის ზრდა		172 150	24 940
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	17	58 648	33 708
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	17	230 798	58 648

შპს „ჯეო სქაი ტექნიკსი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარი)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეო სქაი ტექნიკსი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კომპანიას, დაფუძნებულია 2021 წლის 24 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით 406348117, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ისნის რ-ნი, არბოშიკის ქ. #2.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საპაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურეობა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კომპანიის 51% წილის მფლობელია შპს ავიაკომპანია „ჯეო სქაი“ (ს/ნ 406198485), რომლის მესაკუთრე და 100% წილის მფლობელია ზაურ ქორთოშიძე (პ/ნ 01028001525) და 49% წილის მფლობელია შპს „ჯორჯიან ვინგზ“, რომლის მფლობელებიც არიან 50% თორნიკე ქორთოშიძე (პ/ნ 01011041822) და 50% ალექსანდრე ჭიკაძე (პ/ნ 01019012009)

შენიშვნა 2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიის მიერ მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების“ მოთხოვნების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შესადარის ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. მონაცემები დამრგვალებულია ერთ ლარამდე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მომზადების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ გაითავალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, თვლის, რომ მიზანშეწონილია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

შპს „ჯეო სქაი ტექნიკსი“ დაფუძნდა 2021 წლის ნოემბერში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურება.

კომპანიას მიღებული აქვს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ ტექნიკური მომსახურების სერთიფიკატი, რაც უფლებას აძლევს განახორციელოს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის რეესტრში ჩაყენებული საჰაერო ხომალდების მიმდინარე, ხოლო ვერტმფრენების მიმდინარე და საბაზისო ტექნიკური მომსახურება. საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების ძირითად ბაზას წარმოადგენს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ვერტმფრენებისათვის კი თელავის ბაზა.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ფუნქციურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("ლარი").
უცხოური ვალუტა

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსები:

	დოლარი	ევრო	GBP
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2,8068	2,9306	3,5349
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2,6894	2,9753	3,4228

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება ისტორიული ღირებულებით (თვითღირებულებით), რომელიც მოიცავს აქტივების შეძენასთან და ექსპლუატაციაში გადაცემასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ექსპლუატაციაში გადაცემის შემდგომი ხარჯებიდან მისი ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და ამასთან შესაძლებელია მისი ღირებულების რეალურად შეფასება, აღირიცხება ცალკე აქტივად ან ემატება უკვე მოქმედი აქტივის ღირებულებას.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი ცვეთის მეთოდით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები გაანგარიშებულია ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადებიდან გამომდინარე.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადაა:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
ოფისის აღჭურვილობა	3-7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-15
ინსტრუმენტები	2-12
ტრანსპორტი	8
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრება შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. კომპანიის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება წილობრივი მეთოდით.

წილობრივი მეთოდის თანახმად ინვესტორი თავის ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში აფასებს თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ეს არ შეეხება იმ ინვესტიციებს, რომელთა კოტირებული ფასი ქვეყნდება.

ინვესტორმა ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა განაწილებები უნდა აღიაროს, როგორც შემოსავალი, იმის მიუხედავად, საიდან იქნა მიღებული ეს განაწილებები: მეკავშირე საწარმოს გაუნაწილებელი მოგებიდან, რომელიც წარმოიქმნა ინვესტიციის შეძენის თარიღამდე თუ ინვესტიციის შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა კომპანიის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ და აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

ინვესტორმა მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, თუ არსებობს ამ ინვესტიციის კოტირებული ფასი.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. საქართველოში მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო თანხით.

თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

წმინდა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარი გადახდები აღიარებულია ნაშთის სახით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და ამ მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისაგან (ტრანსპორტირება და დასაწყობება). მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შემენის დანახარჯები მოიცავს მათი შემენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების (გამოყენებულის და ნაშთად არსებულის) ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალი ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არამწამოვლურ ფინანსურ აქტივს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციების დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა და გაცემასთან. შემდეგ კი აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც მომწოდებლების მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით შემცირებული ტრანზაქციის ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულებების

პირობები მნიშვნელოვნად იცვლება. ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაფაროს ვალდებულება ერთდროულად.

სამართლიანი ღირებულების დადგენა

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში მოთხოვნა წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით, საექვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

კომპანია მიღებულ სესხებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად.

აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს.

გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული ავანსის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწყისი საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ხელშეკრულების გაფორმების დროს კომპანია აფასებს, წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა ის იჯარას. ეს შეფასება გულისხმობს განსჯას იმის თაობაზე, დამოკიდებულია თუ არა ის კონკრეტულ აქტივებზე, კომპანია იღებს თუ არა არსებითად სრულ ეკონომიკურ სარგებელს აქტივით სარგებლობისგან და აქვს თუ არა უფლება, წარმართოს აქტივის გამოყენება. ამდენად, კომპანიამ არჩია ფასს 16-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომის გამოყენება მაქსიმუმ 12-თვიანი ვადის მქონე მოკლევადიანი იჯარებისთვის და ისეთი იჯარებისთვის, რომელთა საბაზისო (საიჯარო) აქტივი დაბალი ღირებულებისაა და ასევე გამარტივებულ მეთოდს იყენებს იმ ხელშეკრულებებთან მიმართებაში სადაც არ არის ყოველთვიური ფიქსირებული საიჯარო გადასახდელი წლის განმავლობაში და ზოგიერთ თვეში სრულად მიბმულია ცვლად კომპონენტებზე.

ასეთ ხელშეკრულებებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი უკავშირდება იჯარის ვადაზე წრფივი დარიცხვით.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას დამატებული ხელშეკრულების ვადის შესაძლო გაგრძელება. თუ იჯარის ხელშეკრულებას განუსაზღვრელი ვადა აქვს, იჯარის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების შესაძლო გაგრძელების ვადით.

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღით. აქტივის გამოყენების უფლების თავდაპირველი შეფასება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასების ღირებულება;
- იჯარის დაწყების თარიღით ან ამ თარიღამდე (იჯარის წინასწარ გადახდა) შესრულებულ საიჯარო გადახდებს გამოკლებული მეიჯარისგან მიღებული ყოველგვარი წამახალისებელი გადახდები;
- მოიჯარის სავარაუდო დანახარჯები, დაკავშირებული საიჯარო აქტივის დემონტაჟთან, განკარგვასთან და აღდგენასთან, საიჯარო ხელშეკრულების თანახმად.

აქტივის გამოყენების უფლებას შემდგომში გაუფასურება ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე ან საიჯარო ვადის ბოლო თარიღამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადა თანხვედრაშია ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადებთან. აქტივის გამოყენების უფლება ასევე ექვემდებარება ცვეთას.

იჯარის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები მოიცავს შესყიდვის ოფციონის რეალიზაციის ფასს, რაზედაც კომპანიის მიერ შესყიდვის გონივრული რწმენა არსებობს, და იჯარის შეწყვეტისთვის გადახდილ ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის შეწყვეტის ოფციონის რეალიზაციას. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გაიწევა სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესაქმნელად), რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

ვინაიდან საიჯარო ხელშეკრულებებში საპროცენტო განაკვეთი ნაგულისხმევი არ არის, საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ საბაზრო სასესხო საპროცენტო განაკვეთს და თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის.

შემდგომი შეფასება

იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის პარალელურად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება საიჯარო გადახდები (მაგ. ცვლილება სამომავლო გადახდებში მათი ოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის ოფციონის შეფასებაში.

პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის მოდელის გამოყენებისას, კომპანია აფასებს აქტივის გამოყენების უფლებას თავდაპირველი თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, და რომელიც კორექტირდება საიჯარო ვალდებულების ხელახლა შესაფასებლად. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის ათვლის თარიღიდან საბაზისო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე.

კომპანია ხარჯებს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის სახით აღიარებს ფინანსურ ხარჯებში, რომელსაც ასახავს მოგებაში ან ზარალში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა და ვალდებულებების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისაგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება ადებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, გაცემულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება ადებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება მოხდა წინა პერიოდის უზუსტობის კორექტირებისთვის, რათა მომხდარიყო წინა პერიოდში აღრიცხული ხარჯების და ბალანსის მუხლების ასახვა ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შესადარისი ინფორმაცია ასევე რეკლასიფიცირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის.

მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შეტანილი კორექტირებების შეჯამება გადანაგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად:

	წინა ანგარიშის მიხედვით 2023 წ.	კორექტირება	გადაანგარიშებული 2023 წ.
აქტივის გამოყენების უფლება	1 128 811,00	29 973,01	1 158 784,01
სავაჭრო მოთხოვნები	1 501 293,82	152 474,91	1 653 768,73
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	53 834,89	-11,44	53 823,45
მარაგები	231 991,93	-442,65	231 549,28
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	908 389,00	24 662,67	933 051,67
სავაჭრო ვალდებულებები	93 250,00	152 405,41	245 655,41
სხვა ვალდებულებები	51 189,23	-91,86	51 097,37
საგადასახადო ვალდებულება	200 192,00	-2 191,68	198 000,32
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	256 566,00	10 535,45	267 101,45
თვითღირებულება	5 874 513,00	1 381,09	5 875 894,09
საპროცენტო ხარჯი	95 495,00	1 222,16	96 717,16
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	4 089,00	722,63	4 811,63
საერთო ზეგავლენა კაპიტალზე		3 325,88	

შენიშვნა 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს სარგებლიანობის დარჩენილ ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. კომპანია თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. კომპანია ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიაწვდიან კომპანიაში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება დაუკავშირებელ მხარეებთან.

შენიშვნა 5. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	8 405 338	7 166 019
სხვა სამეწარმეო შემოსავლები	333 267	271 352
სულ	8 738 605	7 437 371

შენიშვნა 6. თვითღირებულება

	2024	2023
ტექნიკური მომსახურების და რემონტი (წ. ადრე წარდგენილი იყო (506 556) ლ.)	(449 954)	(502 565)
ცვეთა და ამორტიზაცია (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (322 178) ლ.)	(369 505)	(325 459)
ტრენინგის ხარჯები	(165 794)	(74 832)
შრომის ანაზღაურება (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (4 416 250) ლ.)	(3 382 372)	(4 413 954)
საპენსიო ფონდი (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (73 260) ლ.)	(68 294)	(73 214)
საიჯარო ქირა	(58 671)	(110 574)
მივლინების ხარჯები	(387 155)	(331 730)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (0) ლ.)	(403 485)	(4 433)
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	(63 308)	(39 133)
სულ (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (5874513) ლ.)	(5 348 538)	(5 875 894)

შენიშვნა 7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	(12 249)	(2 242)
შრომის ანაზღაურება	(1 586 245)	(743 219)
საპენსიო ფონდი	(24 116)	(10 173)
კომუნიკაციის ხარჯები	(7 950)	(16 770)
დაზღვევის ხარჯი	(1 402)	(1 635)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(34 818)	
ბანკის საკომისიო ხარჯები	(8 504)	(11 750)
ოფისის ხარჯი	(10 983)	(11 913)
საგადასახადო ხარჯი	(100 281)	(3 892)
საკონსულტაციო ხარჯი	(10 000)	(5 966)
რეკლამის და დომენის მომსახურების ხარჯი	(23 997)	
წარმომადგენლობითი ხარჯი	(28)	(179)
საავიაციო სახელმძღვანელოების ხარჯი	(6 250)	
სხვა ხარჯები	(17 928)	(11 057)
საექვო მოთხოვნების ხარჯი	(72 874)	(53 827)
სულ	(1 917 625)	(872 623)

შენიშვნა 8. საპროცენტო შემოსავალი (ხარჯი)

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	1 675	1 161
საპროცენტო ხარჯი ბანკის	(38)	
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (95 495) ლ.)	(88 737)	(96 717)
სულ საპროცენტო ხარჯი (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (95 495) ლ.)	(88 775)	(96 717)

შენიშვნა 9. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

	2024	2023
დადებითი საკურსო სხვაობა	77 443	28 660
უარყოფითი საკურსო სხვაობა (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (32 749) ლ.)	(58 159)	(33 472)
სულ (2023 წ. ადრე წარდგენილი იყო (4 089) ლ.)	19 284	(4 812)

შენიშვნა 10. არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

არასაოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი	24 155	4 590
ზარალის ანაზღაურება	-	1 580
სულ	24 155	6 170

არასაოპერაციო ხარჯი

	2024	2023
სხვა არასამეწარმეო ხარჯი	(1 009)	-
ჩამოწერილი ძირითადისაშუალებები	(9 285)	-
ჯარიმები და საურავები	(1 424)	(3 160)
სულ	(11 718)	(3 160)

შენიშვნა 11. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილ ობა 2160	ავეჯი და სხვა ინვენტარი 21 70	ინსტრუმენტ ები 2175	სატრანსპორ ტო საშუალებებ ი 2180	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა 2190	სულ აქტივები
თვითღირებულება						
01.01.2023	7 274	1 650	56 054	126 350	5 284	196 612
შემოსვლა	11 257	47 283	150 798	527	32 514	242 379
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31.12.2023	18 531	48 933	206 852	126 877	37 798	438 991
შემოსვლა	4 173	33 417	276 941	-	-	314 531
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	(11 228)	(11 228)
31.12.2024	22 704	82 350	483 793	126 877	26 570	742 294
დაგროვილი ცვეთა						
01.01.2023	(109)	(21)	(733)	(1 317)	-	(2 180)
პერიოდის ცვეთა	(2 623)	(5 032)	(18 944)	(15 850)	(5 995)	(48 444)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31.12.2023	(2 732)	(5 053)	(19 677)	(17 167)	(5 995)	(50 624)
პერიოდის ცვეთა	(3 313)	(8 936)	(40 805)	(15 860)	(5 486)	(74 400)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	1 989	1 989
31.12.2024	(6 045)	(13 989)	(60 482)	(33 027)	(9 492)	(123 035)
საბალანსო ღირებულება						
ბალანსი 01.01.2023	7 165	1 629	55 321	125 033	5 284	194 432
ბალანსი 31.12.2023	15 799	43 880	187 175	109 710	31 803	388 367
ბალანსი 31.12.2024	16 659	68 361	423 311	93 850	17 078	619 259

შენიშვნა 12 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

აქტივის გამოყენების უფლება	2024	2023
თვითღირებულება		
01 იანვარი	1 492 221	1 265 310
შემოსვლა (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 193 658 ლ.)	20 725	226 911
გასვლა	-	-
31 დეკემბერი (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 1 458 968 ლ.)	1 512 946	1 492 221
დაგროვილი ცვეთა		
01 იანვარი	(333 437)	(54 180)
პერიოდის ცვეთა (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო (275977) ლ.)	(307 399)	(279 257)
გასვლა	-	-
31 დეკემბერი (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო (330157) ლ.)	(640 836)	(333 437)
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 1 128 811 ლ.)	872 110	1 158 784

საიჯარო ვალდებულებები

	2024	2023
01 იანვარი	1 200 153	1 205 128
შემოსვლა (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 193 658 ლ)	20 725	226 911
საპროცენტო ხარჯი (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 95 495 ლ)	88 737	96 717
გადახდილი/ჩასათვლელი დღგ	65 996	60 882
გადახდილი სამშენსავლო გადასახადი	(1 181)	(1 895)
ვალდებულების დაფარვა	(347 592)	(407 873)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო (19 560) ლ)	(37 293)	(20 283)
31 დეკემბერი (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 1 164 955 ლ)	1 064 131	1 200 153
მიმდინარე (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 256 566 ლ)	389 249	267 101
გრძელვადიანი (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 908 389 ლ)	674 882	933 052

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებისთვისაც აღიარებულია აქტივის გამოყენების უფლება, მოიცავს საოფისე და სასაწყობო ფართის, სატრანსპორტო საშუალებების იჯარას. ვინაიდან საიჯარო ხელშეკრულებებში არ არის ნაგულისხმევი პროცენტი, ზღვრული სასესხო პროცენტის განსაზღვრისათვის გამოყენებულია ეროვნული ბანკის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის სტატისტიკური მონაცემები მსგავსი სექტორისათვის, ხოლო ავტომანქანების იჯარაზე აღებულია ეროვნული ბანკის წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე.

კომპანიას საჭიროებებიდან გამომდინარე 2024 წელს გაფორმებული ჰქონდა მოკლევადიანი (12 თვეზე ნაკლები) ფართის და ავტომანქანის საიჯარო ხელშეკრულებები; იჯარით აღებული აქვს ანგარი, რომელის საიჯარო ქირა განისაზღვრება ფაქტიურად ნასარგებლები საათები გამრავლებული ტარიფზე. ე.ი. მეიჯარეზე გადასახდელი თანხა არის ცვლადი; აღნიშნული დეტალებიდან გამომდინარე, საიჯარო ხელშეკრულებები საიჯარო ვალდებულების შეფასებისას არ განიხილება ფასს 16-ის შესაბამისად. ამ იჯარების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

შენიშვნა 13. მარაგები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
საქონელი	77 385	76 315
ნედლეული და მასალები (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 154 132 ლ)	445 907	153 689
საწვავი	1 247	1 545
სულ (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 231 992 ლ)	524 539	231 549

შენიშვნა 14. სავაჭრო მოთხოვნები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 1 501 294 ლ)	2 601 793	1 653 769
საექვო მოთხოვნების რეზერვი/კორექტირება	(126 701)	(53 827)
სულ (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 1 447 467 ლ)	2 475 092	1 599 942

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საექვო ვალების რეზერვი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით, შეადგენს 126 700 ლარს.

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

2024	სულ	30 დღემდე	31-60 დღემდე	61-90 დღემდე	91-180 დღემდე	181-360 დღემდე
2024 წლის 31 დეკემბრს სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით	2 601 792	1 673 263	617 362	30 505	110 011	170 651
საექვო მოთხოვნის რეზერვი	(126 700)	-	(12 347)	(1 525)	(27 503)	(85 325)
	2 475 092	1 673 263	605 015	28 980	82 508	85 326

2023	სულ	30 დღემდე	31-60 დღემდე	61-90 დღემდე	91-180 დღემდე	181-360 დღემდე
2023 წლის 31 დეკემბრს სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით	1 653 769	766 671	619 552	174 466	55 310	37 770
საექვო მოთხოვნის რეზერვი	(53 827)	-	(12 392)	(8 723)	(13 827)	(18 885)
	1 599 942	766 671	607 160	165 743	41 483	18 885

შენიშვნა 15. სხვა აქტივები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1 809	3 361
დეპოზიტები	-	25 589
წინასწარ გადახდილი ავტომობილის დაზღვევა	1 247	624
წინასწარ გადახდილი ქონების დაზღვევა	656	-
სულ	3 712	29 574

შენიშვნა 16. გადახდილი ავანსები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 53 835 ლ)	37 136	53 823
სულ (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 53 835 ლ)	37 136	53 823

მომწოდებლებზე ავანსები გადახდილია მარაგების, ინსტრუმენტების და მისაღები მომსახურების შესაძენად.

შენიშვნა 17. ფული და ფულის ექვივალენტი

	31.დეკ.24	31.დეკ.23
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	70 165	40 388
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	157 166	18 260
უცხოურ ვალუტაში ბიზნეს ბარათები	3 467	-
სულ	230 798	58 648

შენიშვნა 18. კაპიტალი

	31.დეკ.24	31.დეკ.23
საწესდებო კაპიტალი	20 000	20 000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 857298 ლ)	2 271 035	853 972
სულ (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 877 298 ლ)	2 291 035	873 972

შენიშვნა 19. სავაჭრო ვალდებულებები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 67 678 ლ)	787 557	220 084
სულ (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 67 678 ლ)	787 557	220 084

შენიშვნა 20. სხვა ვალდებულებები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
გადასახდელი ხელფასები და ვალდებულებები დასაბეგრი ფ/პ და ვალდებულებები პერსონალის წინაშე (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 571 068 ლ)	196 179	571 066
გადასახდელი მეკავშირე საწარმოებისათვის	350 000	350 000
დაგროვებითი პენსია (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 51189 ლ)	12 703	51 097
სულ (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 972 257 ლ)	558 882	972 163

შენიშვნა 21. საგადასახადო ვალდებულებები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
წმინდა ერთიანი საგადასახადო ანგარიში (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 200 192 ლ)	59 911	198 001
სულ (2023 წ. აღრე წარდგენილი იყო 200 192 ლ)	59 911	198 001

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები/მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს ნეტო ღირებულებით. ნეტო ღირებულებით საგადასახადო ვალდებულებების/მოთხოვნების აღიარება გულისხმობს გადასახდელი გადასახადებიდან წინასწარ გადახდილი გადასახადების თანხების გამოქვითვას, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარი გადახდები აღიარებულია ნაშთის სახით.

შენიშვნა 22. მიღებული ავანსები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
მიღებული ავანსები	1 130	56 314
სულ	1 130	56 314

მიღებულია ავანსი ტექნიკური მომსახურების გასაწევად.

შენიშვნა 23. პირობითი გარემოებები

პოლიტიკური გარემო და რეგულაცია საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზრებთან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზეგავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სამართლებრივი დავები

შპს „ჯეო სქაი ტექნიკი“-ს მიერ და მის მიმართ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდში სასამართლო დავა არ მიმდინარეობს.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოს დაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

შენიშვნა 24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24 სტანდარტში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“)

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;

(ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავე საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათაო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათაო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

- (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათაო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.
- დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია - რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა.
- პირის ოჯახის წევრები - არიან ოჯახის ის წევრები, რომლებსაც, სავარაუდოდ, შეუძლიათ გავლენის მოხდენა პირზე, ან შეიძლება თავად მოექცნენ ამ პიროვნების გავლენის ქვეშ საწარმოსთან ოპერაციების წარმოებისას, მათ შორის:
- ა) პიროვნების შვილები და მეუღლე, ან არაოფიციალური მეუღლე;
- ბ) პიროვნების მეუღლის, ან არაოფიციალური მეუღლის შვილები; და
- გ) ამ პიროვნების, ან მისი მეუღლის, ან არაოფიციალური მეუღლის კმაყოფაზე მყოფი პიროვნებები. თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წ.	ურთიერთობა	შემოსავალი	ხარჯები	მისაღები
		დაკავშირებულ მხარეებისაგან	დაკავშირებულ ი მხარეებისაგან	თანხა/(დავალიანება)
შპს ავიაკომპანია ჯეო სქაი	სსკქ*	7 765 075	(408 431)	1 378 683
შპს თი სი ეი	სხვა	359 897	-	377 210
შპს ავიაკომპანია თუშეთი	სხვა	-	(24 900)	(2 714)
World sky aviation	სხვა	519 782	-	277 864
შპს ატფ	სხვა	-	(2 223)	-
თ. გოგატიშვილი	სხვა	-	(3 280)	(225)
სულ		8 644 754	(438 834)	2 030 818

2023 წ.	ურთიე რობა	შემოსავალი დაკავშირებულ მხარეებისაგან	ხარჯები დაკავშირებულ ი მხარეებისაგან	მისაღები თანხა/(დავალიანე ბა)
შპს ავიაკომპანია ჯეო სქაი	სსკპ*	6 867 508	(213 094)	941 358
შპს თი სი ეი	სხვა	177 737	(1 140)	175 024
შპს ავიაკომპანია თუშეთი	სხვა	-	(21 000)	-
World sky aviation	სსვა	354 366	(38 654)	(24 627)
შპს ჯეო ჰენდლინგი	სსვა	-	(8 770)	-
შ. კიკნაძე	სსვა		(3 159)	(433)
სულ		7 399 611	(285 817)	1 091 322

*საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ

შპს ჯეო სქაი ტექნიკსმა შპს თი სი ეი-ს, შპს ავიაკომპანია ჯეო სქაი-ს და World sky aviation-ს გაუწია საპაერო ხომალდებზე ტექნიკური მომსახურება; შპს ავიაკომპანია ჯეო სქაი-სთან აქვს მარაგ-ნაწილების მიბარების მომსახურების ხელშეკრულება.

შპს ავიაკომპანია ჯეო სქაი-საგან შეიძინა მარაგები, ძირითადი საშუალებები და ნაქირავები აქვს ფართი; შპს ავიაკომპანია თუშეთისაგან ნაქირავები აქვს ფართი;

შპს ატფ-მ შპს ჯეო სქაი ტექნიკს გაუწია საწვავის ჩასხმასთან დაკავშირებული სატრეინინგო მომსახურება;

თ. გოგატიშვილი ა/მანქანებისიჯარა;

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება

	2024	2023
დირექტორი	142 809	259 126

შენიშვნა 25. ფინანსური რისკი

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. კომპანიის ფინანსური რისკი მოიცავს საკრედიტო, საპროცენტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ მომსახურების/საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს,

კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს. მენეჯმენტის აზრით, კომპანიისათვის უკვე აღრიცხული რეზერვების მიღმა ზარალის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს (შენიშვნა 14).

ანგარიშგების თარიღისათვის საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა არის:

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 14)	2 475 092	1 599 942
ფული და ფულის ექვივალენტები ბანკში (შენიშვნა 17)	230 798	58 648
სულ	2 705 890	1 658 590

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მოქმედებს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ლარი/აშშ დოლარის/ევროს და ბრიტანული ფუნტი სტერლინგის გაცვლითი კურსის გონივრულად მოსალოდნელი ცვლილების ზემოქმედება დასრულებული წლის დაბეგრულ მოგებაზე, როცა სხვა ფაქტორები მუდმივია:

2024	გამყარება	გაუფასურება
აშშ დოლ. (10% ცვლილება)	122 939	(122 939)
2023	გამყარება	გაუფასურება
აშშ დოლ. (10% ცვლილება)	(7 436)	7 436
2024	გამყარება	გაუფასურება
ევრო (10% ცვლილება)	(24 385)	24 385
2023	გამყარება	გაუფასურება
ევრო (10% ცვლილება)	(2 583)	2 583
2024	გამყარება	გაუფასურება
ფუნტი სტერლინგი (10% ცვლილება)	13	(13)

ქვემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას. „კომპანიას“ აქვს შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში:

	აშშ დოლარში დენომინირებული	
	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
ფული და ფულის ექვივალენტები	159 013	17 897
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 112 559	1 481 361
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(220 142)	(591 951)
საიჯარო ვალდებულებები	(822 041)	(981 668)
ნეტო პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 229 389	(74 361)
	ევროში დენომინირებული	
	31.დეკ.2024	31.დეკ.2023

ფული და ფულის ექვივალენტები	1 488	363
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 407	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(246 749)	(26 190)
ნეტო პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	(243 854)	(25 827)
ფუნტი სტერლინგში დენომინირებული		
	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
ფული და ფულის ექვივალენტები	132	-
ნეტო პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	132	-

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია „კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე:

31.დეკ.24	3 თვემდე	3-12 თვე	1-5 წელი	5 წლის ზევით	სულ	საბალანსო ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 19)	787 557	-	-	-	787 557	787 557
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 12)	75 105	244 678	674 882	-	994 665	1 064 131
	862 662	244 678	674 882	-	1 782 222	1 851 688
31.დეკ.23	3 თვემდე	3-12 თვე	1-5 წელი	5 წლის ზევით	სულ	საბალანსო ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 19)	220 084	-	-	-	220 084	220 084
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 12)	64 971	198 251	908 389	-	1 171 611	1 200 153
	285 055	198 251	908 389	-	1 391 695	1 420 237

შენიშვნა 26. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

1. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან:

- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

აღნიშნული სტანდარტების ცვლილებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში - ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ის სააღრიცხვო სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).
- ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი)

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 27. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 20 000 ლარი.

შენიშვნა 28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი - „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შენიშვნა 29. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 24 სექტემბერი.